



დ რ ო ე ბ ი თ ი გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
ქმედების განხორციელების შესახებ

10 ოქტომბერი, 2022 წელი

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ვალერიანე ფილიშვილი

განმცხადებელი -

მოთხოვნა - დროებითი განჩინებით, დაევალოს საქართველოს მთავრობას, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს უზრუნველყონ ანა გოგუაძისათვის 18 საათის განმავლობაში ერთი ინდივიდუალური მზრუნველი პირის დანიშვნა.

სასამართლომ, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა
განცხადება დროებითი განჩინების მიღების თაობაზე და გამოარკვია

წარმომადგენლების

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

2022 წლის 7 ოქტომბერს, წარმომადგენლების მეშვეობით, განცხადებით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, დროებითი განჩინების გამოცემის მოთხოვნით.

შუამდგომლობაში აღნიშნულია, რომ წლის რწმუნებულების საფუძველზე ა(ა)იპ პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის იცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის - ანა გოგუაძის ინტერესებს.

არის წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - დიაგნოზი სპინალურ-კუნთოვანი ამიოტროფია. ის ცხოვრობს ბებიასთან და დედასთან ერთად, რომლებსაც აქვთ ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა (საქმეში წარმოდგენილია ჯანმრთელობის ცნობები) და არ შეუძლიათ მოვლა. ჯანმრთელობის პრობლემები დაეწყო ჩვილობიდან იგი წლიდან შუამ პირთა ეტლით მოსარგებლეს. თუმცა, მას დამოუკიდებლად სარგებლობაში გადაადგილება და არც თვითმოვლა არ შეუძლია. წლის მისი ჯანმრთელობის



მდგომარეობის შესახებ ცნობის მიხედვით დადგენილია, რომ პაციენტი უჩივის ოთხივე კიდურში მკვეთრ შეზღუდვას. ჟოიდურესად შესუსტებული აქვს ძალა ზედა კიდურებში. აქვს „უხეში სქოლიოზი“, შესაბამისად საჭიროებს ძუძმევ დახმარებას გადაადგილების, კვების, თვითმოვლის პროცედურების დროს. ვინაიდან მისი მდგომარეობის გამო ვეღარ ახერხებს მუშაობას და არ აქვს შემოსავალი იგი ახერხებს მხოლოდ რამდენიმე საათით დაიქირავოს მომვლელი. აღნიშნული დრო არ არის საკმარისი, ვინაიდან დახმარება ესაჭიროება მთელი დღის განმავლობაში. შესაბამისად, მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჰყავდეს მომვლელი, სხვა შემთხვევაში იგი დაექვემდებარება არაადამიანურ, არაჰუმანურ მოპყრობას.

წლის დეკემბერს, დახმარებისათვის მიმართა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს. განმცხადებელი ითხოვდა პერსონალური ასისტენტის დანიშვნას. აღნიშნული წერილი ჯანდაცვის სამინისტრომ გადააგზავნა სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში, თუმცა სააგენტომ უარი უთხრა აღნიშნული დახმარების გაწევაზე. იგივე მოთხოვნით წლის მაისს ასევე მიმართა საქართველო ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, თუმცა მათაც უარი უთხრეს დახმარებაზე. ასევე, მიმართულ იქნა საქართველოს მთავრობის მიმართ ანასთვის დახმარების გაწევაზე, თუმცა ადმინისტრაციულ ორგანოს პასუხი ჯერაც არ გამოუგზავნია.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმომადგენლები ითხოვენ დაევალოს საქართველოს მთავრობას, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს უზრუნველყონ, 18 საათის განმავლობაში ერთი ინდივიდუალური მზრუნველი პირის დანიშვნა - რომელიც გადამზადებული იქნება საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 დეკემბრის N634 დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქვეპროგრამის „განვითარების მძიმე და ღრმა შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“ ფარგლებში.

სამართლებრივ შეფასება:

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი ყველას აძლევს გარანტირებულ უფლებას თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად სასამართლოს მიმართოს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლებრივი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.



სასამართლო განმარტავს, რომ საკუთარი უფლების და თავისუფლების სასამართლოში დაცვის უფლებით დაცული სფერო, ასევე გულისხმობს პირის სადავო უფლების სწრაფ და ეფექტიანად რეალიზაციის სასამართლოს მიერ უზრუნველყოფას, კანონით გათვალისწინებული სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, რათა სასამართლოს გზით უფლების დაცვა ქმედითად განხორციელდეს.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება სწორედ ასეა შეფასებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. აღნიშნულთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, გადაწყვეტილებაში - „საქმე აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“ (განცხადების #40765/02, 2006 წლის 28 ნოემბერი, პუნქტი 44) განმარტა, რომ იმისათვის, რომ მიმართვის საშუალება ეფექტიანი იყოს, ის უნდა პასუხობდეს საჩივარს, იძლეოდეს გასაჩივრებული დარღვევის პირდაპირი და სწრაფი გამოსწორების საშუალებას და არ უნდა სთავაზობდეს კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებების მხოლოდ უბრალო, ირიბ დაცვას (იხ. Merit, ხსენებული ზმით, §59 და Deweer c. Belgique, 27 février 1980, §29, série A no 35).

სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განცხადების საფუძველზე სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე შეუძლია დავის საგანთან დაკავშირებით მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. სასამართლოს დროებითი განჩინების გამოყენება დასაშვებია, ასევე სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისათვის, თუ ეს მოწესრიგება, უპირველეს ყოვლისა, გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძვლების გამო.

მითითებული ნორმის მე-2 ნაწილით, დროებით განჩინებას იღებს საქმის განმხილველი სასამართლო. ასეთ სასამართლოს წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლო, ხოლო როდესაც დავა იხილება სააპელაციო ინსტანციაში – სააპელაციო სასამართლო.

სასამართლოს აღნიშნავს, რომ დროებითი განჩინება, ისევე როგორც ნებისმიერი სახის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, ემსახურება რეალური აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილებას. განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებების საფუძველზე, სასამართლოს უნდა შეექმნას რწმენა და ალბათობის მაღალი ხარისხით დასაბუთებული ვარაუდი, რომ დროებითი განჩინებით, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე გაძნელდება ან შეუძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება. დროებითი განჩინების ძირითადი მიზანია, არსებული მდგომარეობის შენარჩუნება.

მოცემულ შემთხვევაში, განცხადებაზე დართული მტკიცებულებებით დადგენილია, რომ განმცხადებელი ანა გოგუაძე არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. განცხადებაზე დართული მტკიცებულებებით, ასევე დადგენილია, რომ



წლის განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს პერსონალური ასისტენტის დანიშვნის მოთხოვნით, თუმცა სააგენტომ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა. წლის ივლისს ივე მიმართა საქართველოს მთავრობას, თუმცა პასუხი დღემდე არ მიუღია. უარი უთხრა დახმარებაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანსაღი ცხოვრებისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ.

სასამართლო მიუთითებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 25-ე მუხლზე, რომლის თანახმად, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას, ისარგებლონ ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი ხელმისაწვდომი სტანდარტებით, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებების მისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის; ითვალისწინებენ გენდერულ სპეციფიკას, მათ შორის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სარეაბილიტაციო მომსახურებაში. კერძოდ, მონაწილე სახელმწიფოები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უზრუნველყოფენ უფასო ან ხელმისაწვდომი სტანდარტების, ხარისხისა და დონის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებითა და პროგრამებით სხვათა თანაბრად, მათ შორის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროსა და ზოგადად მოსახლეობაზე გათვლილი საზოგადოებრივი პროგრამების ჩათვლით; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უზრუნველყოფენ უშუალოდ შეზღუდული შესაძლებლობის გამო აუცილებელი ჯანდაცვის სფეროს მომსახურებით, მათ შორის ადრეული დიაგნოსტიკით, შესაბამის შემთხვევებში - კორექციითა და მომსახურებით, რომლის მიზანია შემდგომი შეზღუდულობის მინიმუმამდე დაყვანა და პრევენცია, მათ შორის, ბავშვებსა და მოხუცებში.

სასამართლო, ასევე მიუთითებს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის მიხედვით, სახელმწიფო უზრუნველყოფს ზომების მიღებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ექსპლუატაციის, ძალადობისა და დამამცირებელი მოპყრობის ყველა ფორმის პრევენციის მიზნით, ასევე ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათი ოჯახის წევრებისა და მომვლელი პირების დახმარებასა და მხარდაჭერას ასაკისა და სექსის გათვალისწინებით ექსპლუატაციის, ძალადობისა და დამამცირებელი მოპყრობის შემთხვევების გამოვლენისა და თავიდან აცილების მიზნით.

ამრიგად, სასამართლო აღნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, მასზე მორგებული სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს, რაც განსაზღვრულია ზემოთ მითითებული სამართლებრივი აქტებით.

სასამართლო მიუთითებს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ და „გ“ პუნქტებზე, რომლის მიხედვით, მთავრობა საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ ფარგლებში სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურისა და სხვა სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ



„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელ უწყებათაშორის საკოორდინაციო კომიტეტს, ამტკიცებს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციისა“ და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის ხელშეწყობისათვის სტრატეგიასა და შესაბამის სამოქმედო გეგმას და ზედამხედველობის მის შესრულებას.

სასამართლო, ასევე მიუთითებს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 იანვრის №58 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტზე და მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტზე, რომელთა შესაბამისად, სააგენტოს ერთ-ერთი მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთათვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა, ხოლო მის ერთ-ერთ ფუნქციას და უფლებამოსილებას წარმოადგენს სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებულ სპეციალიზებულ დაწესებულებაში ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნა, სადღეღამისო მომსახურების ფარგლებში მოვლა-პატრონობა, კვება, პირველადი სამედიცინო მომსახურება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარება/ორგანიზება.

ამრიგად, სასამართლო განმარტავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საჭიროებებზე მორგებული სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული, შესაბამისი მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების ვალდებულება, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით აქვს საქართველოს მთავრობას, ხოლო მის აღსრულებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანო არის სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობები (ფორმა IV-100/ა), რომლის მიხედვითაც პაციენტი საჭიროებს მუდმივ დახმარებას გადაადგილების, კვების, თვითმოვლის პროცედურების დროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგება, განმცხადებლის უფლების დაცვის უზრუნველყოფის აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს, რამდენადაც იგი საჭიროებს სპეციფიკურ, ინდივიდუალურ სამედიცინო მომსახურებას, რომელიც მისი ჯანმრთელობის დაცვაზე იქნება ორიენტირებული, რათა საფრთხე არ შეექმნას მისი ან მისი ოჯახის წევრთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ დროებითი განჩინების სამართლებრივი ბუნება, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის დროებით მოწესრიგებას ვეუბნებით და მისი მოქმედების ვადა ვერ იქნება განუსაზღვრელი, რამდენადაც იგი საბოლოო სასამართლოს გადაწყვეტილების ქმედითად აღსრულების უზრუნველყოფას ემსახურება და შესაბამისად,



მისი მოქმედების დროც სასამართლოში საქმის განხილვის დროს უკავშირდება, რაც სათანადო (შესაბამისი) ქმედების განხორციელების მოთხოვნით) სარჩელის აღძვრით უნდა განხორციელდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განმცხადებელს უნდა განესაზღვროს ვადა სარჩელის აღძვრისათვის, ხოლო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, გონივრული ვადა იქნება 10 დღე.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განცხადების სასამართლოს მიერ დაკმაყოფილების შემთხვევაში სარჩელი შეტანილი უნდა იქნეს სასამართლოში განჩინების მიღებიდან 10 დღის ვადაში. თუ ამ ვადაში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემტანი პირი არ აღძრავს სარჩელს, სასამართლო თავისი ინიციატივით ან მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 195-ე მუხლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულება დაუყოვნებლივ ხორციელდება, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დადგენილი წესით.

მითითებული კოდექსის 418-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კერძო საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას, რომელიც სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით იყო გათვალისწინებული.

ამავე ნორმის მე-2 ნაწილით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ასეთი საპროცესო მოქმედების შესრულება. გასაჩივრებული განჩინებით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედების შესრულების შეჩერება შეუძლია ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს.

ამრიგად, სასამართლო, განცხადებაზე დართული მტკიცებულებებისა და საქმის გარემოებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მიღებული უნდა იქნეს დროებითი განჩინება, რომლითაც საქართველოს მთავრობას, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დაევალება განმცხადებლის - 18 საათის განმავლობაში ერთი ინდივიდუალური მზრუნველი პირის დანიშვნის უზრუნველყოფა, რომელიც გადამზადებული იქნება საქართველოს მთავრობის წლის დეკემბრის დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, ქვეპროგრამის „განვითარების მიმდინარე ქვეპროგრამის“ მეორე ბავშვთა ბინაზე მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“




ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-12, მე-13, 31-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე, 195-ე, 284-ე, 285-ე, 414-ე, 416-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. - - - - - განცხადება, სარჩელის აღძვრამდე დროებითი განჩინების მიღების თაობაზე დაკმაყოფილდეს;
2. დაევალოს საქართველოს მთავრობას, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს უზრუნველყონ - 18 საათის განმავლობაში ერთი ინდივიდუალური მზრუნველი პირის დანიშვნა - რომელიც გადამზადებული იქნება საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 დეკემბრის N634 დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“, ქვეპროგრამის „განვითარების მიმღე და ღრმა შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“ ფარგლებში;
3. განმცხადებელს განესაზღვროს ვადა შესაბამისი სარჩელის აღძვრისათვის 10 დღე და განემარტოს, რომ სარჩელის აღნიშნულ ვადაში არ აღძვრის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას დროებითი განჩინების გაუქმების თაობაზე;
4. განჩინებაზე შეიძლება შეტანილი იქნეს კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მის: თბილისი გრიგოლ რობაქიძის გამზირი №7), კერძო საჩივარი შემოტანილ უნდა იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) 12 (თორმეტი) დღის ვადაში განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარების მომენტიდან.

მოსამართლე:



ვალერიანე ფილიშვილი